საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

2020 წლის 1 ნოებრიდან 2021 წლის სექტემბრის თვის ჩათვლით, დავესწარი საკრებულოს 22 სხდომას. საანგარიშო პერიოდში, სულ მოწვეულ იქნა 22 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 111 დადგენილება და 547 განკარგულება.

კანონმდებლობის შესაბამისად, გახლავართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და აგრეთვე, სარევიზიო კომისიის წევრი.

- **ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია**

საანგარიშო პერიოდში დავესწარი **ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის** კომისიის 22 სხდომას, სადაც მონაწილეობა მივიღე კომისიის სხდომებზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ 308 საკითხის განხილვასა და 239 საკითხის შესწავლაში.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტი ს#39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 541 ცვლილება, დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 14 ზონალური ცვლილება, უარი ეთქვა 4 ზონალურ ცვლილებას.

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 159 პროექტი (აქედან უარი ეთქვა 1 პროექტს, გადაიდო 1 პროექტი)

კომისიის სხდომაზე ასევე განხილულ/შესწავლილ იქნება სხვა დამატებითი ინდივიდუალური და ნორმატიული აქტების 124 პროექტი.

- **სარევიზიო კომისია**

საანგარიშო პერიოდში დავესწარი სარევიზიო კომისიის მიერ ჩატარებულ 16 სხდომას და მონაწლეობა მივიღე 27 საკითხის შესწავლაში.

ფრაქციული მუშაობა

2021 წლის სექტემბრის თვეში ფრაქციაში „თბილისი“ მოწვეულ იქნა ფრაქციის ერთი სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფრაქციის თავმჯდომარისა და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

საკრებულოს მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი წევრის მიერ გაწეული საქმიანობა

COVID-19 პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო საანგარიშო პერიოდში მოქალაქეებთან შეხვედრები შემცირდა და მაქსიმალურად ჩანაცვლდა დისტანციური კონსუტაციების რეჟიმში მუშაობით. რამდენადაც ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, პრობლემურ საკითხებზე მომართვიანობის საპასუხოდ, მოქალაქეებს ხშირად გაეწიათ სატელეფონო კონსულტაციები, ზეპირსიტყვიერი შუამდგომლობები შესაბამის უწყებებსა და სამსახურებში.

მთაწმინდის რაიონის სამაჟორიტარო წარმომადგენლობაში საანგარიშო პერიოდში შემოსულია 121 წერილობითი განცხადება. თითოეულ მათგანზე განხორციელდა მყისიერი რეაგირება შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში.